საქართველოში გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების ეფექტურობის კრიტიკული ანალიზი

თამარ გვასალია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ბუნების დაცვა და მეტყევეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი, ეკოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024.

სარჩევი

განაცხადი ii

შემოკლებული სიტყვებისა და ცხრილების ჩამონათვალი: iii

აბსტრაქტი 1

შესავალი 2

ლიტერატურის მიმოხილვა 5

მეთოდოლოგია 10

მონაცემთა დამუშავება: 10

მონაცემთა ანალიზი: 11

შედეგები 15

დისკურსია 18

რეკომენდაციები 20

მადლობა 22

გამოყენებული ლიტერატურა: 23

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თამარ გვასალია, 2024 წელი.

შემოკლებული სიტყვებისა და ცხრილების ჩამონათვალი:

გზშ - გარემოზე ზემოქმედების შეფასება;

იხ. -იხილეთ;

ა.შ. - ასე შემდეგ.

ცხრილი - 1: გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეფექტურობის კრიტიკული ანალიზი.

აბსტრაქტი

გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები შესწავლა დიდ მნიშვნელობას იკავებს გარემოს დაცვით სფეროში, რადგან გადამწყვეტია პოტენციური გარემოსდაცვითი რისკების შესამცირებლად. იმისათვის რომ გარემოს, გარემოში არსებულ სახეობებსა და ადამიანის ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს, გზშ ამ საფრთხეების შესწავლისთვის ერთ-ერთი წარმატებული მეთოდია.

ჩემი სამაგისტრო ნაშრომი განიხილავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტების ხარისხსა და ეფექტურობას, საქართველოში მოცემული ცხრა შეფასებიდან მიღებული შედეგების საფუძველზე, რაც ითვალისწინებს გზშ დოკუმენტების კრიტიკულ ანალიზს. ეს კვლევა გამოავლენს სუსტ და ძლიერ მხარეებს მიმდინარე პრაქტიკაში და იძლევა ალტერნატიულ რეკომენდაციებს გზშ-ების ხარისხისა და ეფექტურობის გასაუმჯობესებლად.

კვლევა მიმდინარეობდა ორ ძირითად ფაზაში: მონაცემთა დამუშავება, რომელიც მოიცავდა შეგროვებული ინფორმაციის საფუძვლიან ანალიზს და ცხრილების შედგენას, შემდგომ მონაცემთა ანალიზს, რომელიც კრიტიკულად იკვლევს ზემოქმედების შეფასების სიზუსტესა და ადეკვატურობას, შემარბილებელ ღონისძიებებს და ალტერნატიულ წინადადებებს. განსაზვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ქულები ხელსაყრელია შეფასებულ დოკუმენტებში ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის.

ნაშრომის ბოლოს მოცემულია კონკრეტული რეკომენდაციები მომავალი გარემოზე ზემოქმედების შეფასების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. ეს კვლევა ხელსაყრელია გზშ-ს მეთოდოლოგიების მუდმივი განვითარებისთვის, რომლის მიზანია გარემოს მეტად ეფექტური დაცვა და პროექტის მდგრადი შედეგების უზრუნველყოფა.